პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 95 (11099) | ოთხშაბათი, 23 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ბელადსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ხალხებსა და პარტიებს, რომლებიც იბრძვიან და იმარჯვებენ ლენინიზმის დროშით!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

## ლენინური გზით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელები როგორც დიდ, საზეიმო დღესასწაულს აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდამერვე წლისთავს.

ლენინის სახელი, რომელიც პირველად გაისმა მთელ მსოფლიოში გასული და ჩვენი საუკუნეების მიჯნაზე, მკაფიო, უქრობ ვარსკვლავად კაშკაშებს მთელ დედამიწაზე. უკვდავი ლენინური იდეები მძლავრ ზეგავლენას ახდენენ ხალხთა ბედზე, მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე.

ვ. ი. ლენინი რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა როგორც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მარქსისა და ენგელსის ერთგული მიმდევარი. მან შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი ახალი ისტორიული პირობების, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდის შესაბამისად.

ლენინის სახელი განუყოფელია მის მიერ შექმნილი და მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში, ყველა და ყოველგვარი ოპორტუნისტის, რევიზიონისტის წინააღმდეგ, მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის შეურიგებელ ბრძოლაში გამოწრთობილი კომუნისტთა ჩვენი გმირი პარტიის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიისაგან. ვ. ი. ლენინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, სსრ კავშირის — სოციალისტური ერების მძლავრი და ურღვევი თანამშრომლობის დამაარსებელი.

დიდი პროლეტარული ინტერნაციონალისტი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, ლენინი განუყრელად უკავშირებდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლას საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანებს. იგი ამბობდა, რომ ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა იდგება მკვიდრად, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე.

40 წლის წინათ, 1918 წლის აპრილში, ვ. ი. ლენინი თავის შესანიშნავ ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" აღნიშნავდა, რომ პარტია სათავეში უნდა ჩაუდგეს მასებს და გაუძღვეს მათ სწორი გზით. ასეთი სწორი, ერთადერთი სწორი გზა იყო სოციალისტურ გარდაქმნათა გზა.

ასრულებს რა ლენინის ანდერძს, ახორციელებს რა მის მიერ მეცნიერულად შემუშავებულ სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას, კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მასებს და დიადი მიზნისაკენ წარმართა მათი მძლავრი შემოქმედებითი ენერგია. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოახდინა კულტურული რევოლუცია, ააშენა სოციალისტური საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს დიდი ოქტომბრის მთავარ შედეგს, ლენინიზმის იდეების ცოცხალ განსახიერებას. ლენინის დროშით საბჭოთა ადამიანებმა მოიგერიეს საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა ხრიკი, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა დიდ სამამულო ომში და ახლა წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების ოთხმოცდამერვე წლისთავი აღინიშნება 1 მაისის — მშრომელთა დიდი ინტერნაციონალური დღესასწაულის წინ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში განსაზღვრულია საბჭოთა ხალხის მთავარი, გადამწყვეტი ამოცანები კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. პარტიის მოწოდებათა თვითეული სიტყვა გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დაუშრეტელი ძალებით და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე საბჭოთა ხალხი ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევს მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ. სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია. უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა სოფლის მეურნეობამ. განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. სულ უფრო მეტად იფურჩქნება კულტურა, მეცნიერება და ტექნიკა. ამას მკაფიოდ ადასტურებს დღეს „პრავდაში" გამოქვეყნებული დადგენილება ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მიღწევებისათვის ხელოვნების დარგში.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით მასების ქმნილებაა. კომუნისტური პარტია სრულ გასაქანს აძლევს ხალხის ინიციატივასა და აქტივობას, აღმშენებლობით შემოქმედებას, ყოველი ღონისძიებით ავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. დღითიდღე გაზაფხულის წყალმეტობასავით სულ უფრო მეტად ვითარდება ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივა. ამას ხელს უწყობს პარტიის ღონისძიებები მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული, თავისი რიგების ურყევი ერთიანობით ძლიერი, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის უსაზღვრო ნდობით და სიყვარულით გარემოსილი კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებით. შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს რა მოწინავე რევოლუციურ თეორიას, იგი გადაჭრით იბრძვის რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. პარტია ლენინიზმის სულისკვეთებით ზრდის მთელ საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობას.

ჩვენი ეპოქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კანონზომიერი გადასვლის ეპოქაა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიდი გამარჯვების ეპოქაა. დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება და სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფართო გაქანება, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ზრდა — ასეთია მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველობის თვალსაჩინო დადასტურება.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას დიდი ჩინელი ხალხი, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის მშრომელები, ბანაკისა, რომელიც დაახლოებით მილიარდ კაცს აერთიანებს. იმპერიალისტები და მათი ლაქიები წელებზე ფეხს იდგამენ, რათა გათიშონ სოციალისტური ბანაკი, დაასუსტონ მისი ძლიერება. მაგრამ ეს ვარაუდი იფუშებოდა და მუდამ ჩაიფუშება. სოციალისტური ბანაკი, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, თანასწორობის, ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ლენინური პრინციპები, მძლავრი და უძლეველია!

კომუნისტური პარტია, იცავს რა ლენინის ანდერძს, დაუცხრომლად განამტკიცებს საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალურ ურთიერთობას ყველა ქვეყნის მშრომელებთან, იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ლენინიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებიც მოსკოვში მიიღეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა, მოწმობენ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობას, რომელიც იზრდება და მტკიცდება, რაზმავენ და აღაფრთოვანებენ მუშათა კლასს, ყველა მშრომელს კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მიდის ასეულ მილიონობით ადამიანი. ხვალ ამ ძლევამოსილი დროშის ქვეშ დადგება ახალი ათეული და ასეული მილიონი მშრომელი. მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის!

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„პრავდის" 22/IV მოწინავე.

## ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა ქუთაისში

22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავის დღეს, ქუთაისში, ლენინის სახელობის მოედანზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე შეიკრიბა ქალაქის ათასობით მშრომელი. დამსწრეთა შორის არიან თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული მშრომელთა წარმომადგენლები.

ნაშუადღევის 2 საათია. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტაკიძე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ჩხობაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ი. აბაშიძე, მოწვეული სტუმრები, კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, ქ. ქუთაისის საწარმოთა და ქუთაისის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ჩხობაძე ქუთაისის მშრომელთა მიტინგს გახსნილად აცხადებს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ე. ტაკიძეს. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ხმებში სკულპტურულ ფიგურას მოეხსნა საბურველი. შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგათ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძვირფასი სახე.

— დღევანდელი დღე, — ამბობს ამხ. ტაკიძე, — ღირსშესანიშნავი და მარადსახსოვარი იქნება ქუთაისის მშრომელებისათვის. დღეს ვხსნით მშრომელთა გენიალური ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლს.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხ. ტაკიძის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ და უძლეველ დროშას — მარქსიზმ-ლენინიზმს.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს კომუნისტური პარტიის ძველმა წევრმა ვ. კალმახელიძემ, ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა პ. ქაშიბაძემ, ძველმა ბოლშევიკმა, ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებმა ს. ცინცაძემ, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა ა. სტეფანიშვილმა, ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ძრავას საამქროს მღარავმა ზ. თევდორაძემ, ქუთაისის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გურესაშვილმა, ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლემ კ. ცხაკაიამ, მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე პიონერმა რ. არჩაიამ. დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა დ. კვიცარიძემ.



ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა ქალაქ ქუთაისში.

ფოტო ვ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის ძეგლი აღმართულია ლენინის სახელობის მოედნის ცენტრში, იმ ადგილას, საიდანაც მოედანი ლამაზი ასსაფეხურიანი კიბით უერთდება ლენინისავე სახელობის პროსპექტს. მაღალ ადგილზე და მაღალ კვარცხლბეკზე აღმართული ვლადიმერ ილიას-ძის დიდებული ფიგურა თითქმის მთელ ქალაქს გადაჰყურებს.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინის ძეგლს

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრალური მოედანი საზეიმოდ არის მორთული. ტრიბუნის თავზეა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი.

მოედანზე შეიკრიბნენ მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები, მშენებლები.

მრავალათასიან მიტინგს ხსნის მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვიშნიაკოვი. საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები. მარმარილოს ქვას ხსნიან საბურველს, მასზე ოქროსფერი ასოებით წარწერილია: „აქ აღიმართება ვ. ი. ლენინის ძეგლი".

სიტყვას ამბობს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი.

— შესრულდა 88 წელი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, ჩვენი ბრძენი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადებიდან, — ამბობს იგი. — ამ ღირსშესანიშნავ თარიღს რუსთავის მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან. მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ცენტრალურ ქუჩასა და მოედანს ეწოდა ვ. ი. ლენინის სახელი. ამ მოედანზე აღიმართება დიდი ბელადის ძეგლი.

## ბრძანებულება
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქ. ქუთაისში ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების საქმეში

ქ. ქუთაისში ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების სამუშაოების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ეთერია** ალექსანდრა პავლეს ასული — გამწვანების კომისიის თავმჯდომარე.
2. **კოღუაშვილი** იონა ილიას-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი.
3. **კულინიჩი** ანდრია ნიკოლოზის-ძე — ქვის მწყობელთა ბრიგადირი.
4. **კუპრეიშვილი** გივი ირაკლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მეოთხე სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
5. **კურაევი** მურთაზ კარას-ძე — ქვის მხეხავი.
6. **ლომთაძე** შოთა ისმაილის-ძე — ქალაქის მთავარი არქიტექტორი.
7. **მინდიაშვილი** ბეგლარ ვასილის-ძე — ქვის მწყობელი.
8. **მორეტი** კარლ ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველი.
9. **მორჩაძე** დავით სამსონის-ძე — მემონტაჟე.
10. **რუბინშტეინი** იაკობ სიმონის-ძე — ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურის" სამსხმელო საამქროს უფროსი.
11. **სილაგაძე** კალისტრატე სტეფანეს-ძე — მჭედელი.
12. **ტატარენკო** კირილე კირილეს-ძე — ქვის მწყობელი.
13. **ქარქაშაძე** ნოდარ ბარნაბას-ძე — ქვის მხეხავი.
14. **შუვალოვი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურის" ამწყობი საამქროს უფროსი.
15. **ცნობილაძე** გივი ვლადიმერის-ძე — ქვის მხეხავი.
16. **ცხაკაია** ევგენი სილოვანის-ძე — კვარცხლბეკის პროექტის ავტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1958 წ. 19 აპრილი.

## ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს
### საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

ზეიმით და სიხარულით, როგორც ნათელი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, აღნიშნეს საბჭოთა ადამიანებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, ყველა ქვეყნის მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 88 წლისთავი.

წითელი სამოსით შეირთო 22 აპრილს საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. საზოგადოებრივი შენობების ფასადებზე, ფაბრიკა-ქარხნების კორპუსებზე გამოფენილია ვ. ი. ლენინის პორტრეტები.

სსრ კავშირის დიდი თეატრი. აქ პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე გაისმოდა ბელადის შთამაგონებელი სიტყვები. ამ დარბაზში ყოველ წელიწადს იმართება დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომები, მიძღვნილი დიდი ბელადის დაბადების დღისადმი. აი გუშინაც თეატრის პარტერი და იარუსები აივსო დედაქალაქის მუშათა კლასის წარმომადგენლებით, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებით, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეებით, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებით, ახალგაზრდობით. ესწრება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

საღამოს 6 საათია. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი. მათს გვერდით პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ლენინური გვარდიის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები ა. ვ. არტიუხინა, ვ. ა. კარპინსკი, ო. პ. ნოგინა, ს. ფ. ფედოტოვი და სხვები. დარბაზში შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, ძველ ბოლშევიკებს. ყველანი ფეხზე დგებიან.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. მან თქვა:

ამხანაგებო!

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ დიდი ადამიანისა და უდრეკი რევოლუციონერის, ბოლშევიკების გმირული პარტიის დაუღალავი ორგანიზატორისა და ბელადის, მსოფლიოში მშრომელთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მუშათა კლასის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების უკვდავი მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღეს.

ოთხმოცდარვა წელმა განვლო იმ დღიდან, რაც მძლავრი რუსული მდინარის ვოლგის ნაპირზე, ქალაქ სიმბირსკში, დაიბადა ლენინი. მაშინდელი რუსეთი მოგვაგონებდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური ჩაგვრის ყინულოვანი ჯაჭვით შებოჭილ ვოლგას.

ვლადიმერ ილიას-ძემ მთელი თავისი ძალები, მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მოანდომა ხალხის განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ემყარებოდა რა მარქსიზმის ურყევ დებულებებს, მან განავითარა მუშათა კლასის ეს ძლევამოსილი მოძღვრება. მარქსიზმ-ლენინიზმი დაეუფლა მილიონობითა და მილიონობით ადამიანის გონებას და თანამედროვეობის უდიდესი ძალა გახდა.

ხელმძღვანელობდა რა ამ მოძღვრებით, რუსეთის პროლეტარიატმა თავისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მეთაურობით, რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით 1917 წლის ოქტომბერში მოახდინა სოციალისტური გადატრიალება. თვით ხალხმა აიღო ხელში ძალაუფლება. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

ხელმძღვანელობს რა ლენინური მოძღვრებით, საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და რწმენით მიდის წინ თავისი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდებიან და მტკიცდებიან სოციალიზმის ძალები. ახლა უკვე თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობს სოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც ერთიან მსოფლიო სოციალისტურ ბანაკს ქმნიან.

ლენინიზმი გახდა ჩვენი ეპოქის დროშა, ხალხის მასების შთაგონებული მოძღვრება თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ნათელი მომავლისათვის მათს ბრძოლაში. ლენინი ხალხების გულში ცოცხლობს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გავხსნა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდამერვე წლისთავისადმი.

მოხსენება „ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის უძლეველი დროშაა" გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. ნ. პოსპელოვმა.

გაისმის მისალმების სიტყვები საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, ყველა ხალხისა და პარტიის პატივსაცემად, რომლებიც იბრძვიან და იმარჯვებენ ლენინიზმის დროშით!

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. დარბაზში მძლავრად ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

(საკდესი).

## ლენინის უკვდავი იდეები გვინათებს კომუნიზმის გზას
### საზეიმო სხდომა თბილისში

გუშინ საბჭოთა კავშირის ხალხებმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 88-ე წლისთავი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, კ. ნ. გალიცკი, ფ. დ. დუმბაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, სახელოვანი ლენინური გვარდიის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, საბჭოთა არმიის გენერლები.

საზეიმო სხდომას ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე. ასრულებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს ვ. გ. ესაიაშვილს.

— ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი, — ამბობს იგი, — უსაზღვროდ ძვირფასია მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინის სახელი საბჭოთა ხალხების თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების სიმბოლოა, მთელი მშრომელი კაცობრიობის ძლევამოსილი დროშაა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელი შემდეგ ამბობს, რომ ლენინის უკვდავ სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული მთელი ისტორია საქართველოს მშრომელთა ბრძოლისა თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, მთელი მათი სახელოვანი გამარჯვებანი. ვლადიმერ ილიას-ძემ პირველმა წამოაყენა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ საბჭოთა ფედერაციად გაერთიანების იდეა და ყოველმხრივ დაასაბუთა მისი აუცილებლობა და მნიშვნელობა.

— 34 წლის წინათ, — თქვა მოხსენების დასასრულს ამხ. ესაიაშვილმა, — 1924 წლის 23 იანვარს აქ, ოპერის თეატრის შენობაში, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სამგლოვიარო სხდომა. მისი მონაწილეების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „საქართველოს მშრომელი ხალხი ფიცს დებს, რომ ერთგულად დაიცავს ილიჩის ანდერძს, კოლექტიურად და დაუცხრომლად იმუშავებს ლენინიზმის დროშით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა, რომელიც შექმნა პროლეტარიატისა და ყველა ჩაგრულის გენიალურმა ბელადმა".

საქართველოს კომუნისტური პარტია, მთელი ქართველი ხალხი, — აცხადებს ხანგრძლივი ტაშის გრიალში მომხსენებელი, — ყოველთვის მტკიცედ იცავდა და კვლავაც დაიცავს ამ წმინდა ფიცს.

მძლავრად და დიდებულად ჟღერს პარტიული, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

# ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის უძლეველი დროშაა

## ამხანაგ პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო! დღეს საბჭოთა ხალხი და მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ რევოლუციის გენიის, მშრომელი კაცობრიობის დიდი მასწავლებლისა და მეგობრის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 88-ე წლისთავს. ლენინმა დააარსა, გამოზარდა და გამოაწრთო კომუნისტური პარტია, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის გმირული ავანგარდი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინის მეთაურობით მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ლენინი შორსმჭვრეტელურად ხედავდა რევოლუციის გზებს; იყენებდა რა კლასობრივი ძალების თანაფარდობისა და თვითეული ისტორიული მომენტის თავისებურებათა მეცნიერულ მარქსისტულ ანალიზს, ლენინმა განსაზღვრა პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა. ლენინი წინასწარ ხედავდა, საითკენ, რა მიმართულებით ივლიან წინ რევოლუციური ბრძოლისათვის გაღვიძებული ხალხები, ასეულ მილიონობით ადამიანები, წინასწარ ხედავდა კაცობრიობის მომავალ ბედს. ლენინი აღნიშნავდა, რომ თავის დროზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამოძრავდება დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა და რომ ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უთუოდ უზრუნველყოფილია.

ლენინი შეურიგებელი იყო ოპორტუნიზმის, მარქსიზმის რევიზიონისტების მიმართ, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩამოშორდებოდნენ მარქსიზმის პრინციპებს, კლასობრივ, პროლეტარულ თვალსაზრისსა და პოლიტიკას. ამავე დროს ლენინი უდიდესი პრინციპულობით ახამებდა პოლიტიკის, ტაქტიკის შესანიშნავ მოქნილობას. ლენინი ამბობდა, რომ მტრებმა ტყუილად როდი უწოდეს ბოლშევიკებს „კლდესავით მაგარნი" მათი სიმტკიცისათვის, პრინციპულ საკითხებში დაუთმობლობისათვის. მაგრამ ბოლშევიკები არასოდეს არა ყოფილან „შუბლმაგარნი", დაავადებული არ ყოფილან აზრის უძრაობით. კომუნისტურ პარტიას შეეძლო და შეუძლია ანგარიში გაუწიოს ისტორიული ვითარების ცვლილებებს, ახალ კონკრეტულ პირობებს, რომლებიც მტკიცედ მოითხოვენ ზოგჯერ ახალ, გაბედულ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით ისტორიის მობრუნების მომენტებში.

ახალი ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის პირობებში, ლენინმა გენიალურად განავითარა მარქსიზმის მოძღვრება, გაამდიდრა იგი ახალი, უმნიშვნელოვანესი დასკვნებითა და დებულებებით, შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების თეორია.

ლენინმა მოგვცა. მშრომელთა მილიონიანი მასების რევოლუციური გამოცდილების მეცნიერული, თეორიული განზოგადების, მასების გამოცდილებაზე, ახალი, სოციალისტური ცხოვრების შემოქმედებაში მათს ინიციატივაზე დაყრდნობის ნიმუშები.

ლენინიზმი არის მუდამ ცოცხალი, ცხოველმყოფელი და განვითარების პროცესში მყოფი მოძღვრება მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის შესახებ. სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური თეორია უდიდეს გამარჯვებებს დღესასწაულობს. დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები დაეუფლნენ უკვე მრავალ ასეულ მილიონობით ადამიანს და გახდნენ გიგანტური მატერიალური ძალა, ისტორიის უდიდესი მამოძრავებელი ძალა. უძლურია მომაკვდავი კაპიტალიზმის დამცველთა და ხელშემწყობთა ცდები ძირი გამოუთხარონ ან თუნდაც შეასუსტონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მზარდი გავლენა.

ლენინიზმის მოძღვრება ცოცხლობს და იმარჯვებს; მას შემოქმედებითად იყენებენ და ავითარებენ ჩვენი პარტია, კომუნისტური და მუშათა პარტიების მთელი დიდი, ერთიანი ძმური ოჯახი.

ლენინიზმის დიადი დროშისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისადმი ერთგულება არის სოციალიზმის ძალის წყარო და ჩვენი მსოფლიო-ისტორიული საქმის უძლეველობის საიმედო საწინდარი!

## I. სოციალისტური რევოლუციისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური თეორიის გამარჯვება

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება არის იდეოლოგია მუშათა კლასისა, რომელმაც შეიგნო თავისი ისტორიული მისია — მოსპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შექმნას ახალი საზოგადოება, რომელიც თავისუფალი იქნება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, საზოგადოება, რომელშიც არ იქნება კრიზისები და ომები, რომელშიც განხორციელდება დიადი კომუნისტური პრინციპი — „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით".

მარქსმა აღმოაჩინა კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის ეკონომიური კანონები, აღნიშნა პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის დიადი ისტორიული მისია. ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის განვითარებისა და დაღუპვის კანონები მის უკანასკნელ, იმპერიალისტურ სტადიაში. ლენინმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმის განვითარების ამ უმაღლეს სტადიაში ობიექტურად მზადდება მატერიალური, ტექნიკური წინაპირობები სოციალისტურ საზოგადოებაში გადასასვლელად. ამავე დროს იმპერიალიზმი ნიშნავს საწარმოო ძალების უგუნურ ფლანგვასა და ნგრევას, მრავალ ათეულ მილიონობით ადამიანის დაღუპვას ომებში, რომლებსაც წარმოშობს იმპერიალიზმის საზოგადოებრივი სისტემა, კაპიტალისტური მონოპოლიების მისწრაფება უმაღლესი მოგებისადმი, მსოფლიო ბატონობისადმი.

ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი. ამ კანონის ძალით ზოგი კაპიტალისტური ქვეყანა უფრო ჩქარა ვითარდება, ვიდრე სხვები; მწვავდება გააფთრებული კონკურენცია კაპიტალისტური მონოპოლიების სხვადასხვა ჯგუფებს შორის; წარმოიშობა მისწრაფება მსოფლიოს ხელახლა გაყოფისადმი, წარმოებს ომები, რომლებსაც იმპერიალიზმი წარმოშობს. მაგრამ ეს ომები, რომლებსაც დაღუპვა და გაჩანაგება მოაქვთ ათეულ მილიონობით ადამიანისათვის, ამდიდრებენ კაპიტალისტურ მონოპოლიებს, რომლებიც მოგებას პოულობენ ომით. ამასთან როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის ობიექტური შედეგი ის იყო, რომ ამ ომებმა დაასუსტეს იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო ფრონტი, კიდევ უფრო გაამწვავეს იმპერიალიზმის ყველა შინაგანი წინააღმდეგობანი, შექმნეს იმპერიალიზმის ფრონტის ყველაზე სუსტი რგოლების გარღვევის შესაძლებლობა. იმპერიალიზმის დასუსტებამ წარმოშვა შესაძლებლობა სოციალიზმის გამარჯვებისა თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში.

1917 წელს იმპერიალიზმის სისტემაში ყველაზე სუსტი რგოლი რუსეთი იყო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება იყო ბრწყინვალე დადასტურება სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიისა, იყო რუსეთის რევოლუციურ მუშათა და გლეხთა დიდი გმირობა, რომელიც მათ ჩაიდინეს ლენინისა და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

„... ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე, — რომ წილად გვხვდა ბედნიერება **დაგვეწყო** საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, **დაგვეწყო** ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა". (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 42).

რუსეთი მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლი იყო. მაგრამ რუსეთი რევოლუციური პროლეტარიატის მსოფლიო ფრონტის ჯაჭვის ყველაზე ძლიერი რგოლი იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. უკვე რუსეთის პირველმა რევოლუციამ დააყენა ობიექტურად, ისტორიის მსვლელობით რუსეთის გმირი მუშათა კლასი მთელი საერთაშორისო მოძრაობის ავანგარდში. დასავლეთ ევროპაში კი მუშათა მოძრაობაში გაბატონდა რეფორმიზმი, ამიტომ მუშათა მოძრაობა იქ აღმოჩნდა იდეურად დასუსტებული, პოლიტიკურად განიარაღებული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში ლენინურმა პარტიამ შეძლო ერთიან მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გაეერთიანებინა სხვადასხვა რევოლუციური მოძრაობა: პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის; საერთო დემოკრატიული მოძრაობა მშვიდობისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა მიწისათვის; რუსეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ერთ საერთო გიგანტურ რევოლუციურ ნაკადად ამ სხვადასხვა ნაკადების გაერთიანებამ გადაწყვიტა კაპიტალიზმის ბედი რუსეთში.

დიდი სოციალისტური რევოლუცია 1917 წლის ოქტომბერში თავისი განვითარების პირველ თვეებში ყველაზე უსისხლო რევოლუცია იყო. ეს მოწმობდა პროლეტარული რევოლუციის ძალას და პროლეტარიატის უდიდეს ჰუმანურობას.

და მხოლოდ მაშინ, როცა დამხობილმა ექსპლოატატორულმა კლასებმა მსოფლიო იმპერიალიზმის მხარდაჭერით კონტრრევოლუციური ამბოხებები მოაწყეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელი მიჰყვეს ტერორს, მკვლელობას, აფეთქებებს, როცა იმპერიალისტებმა მოაწყეს „14 სახელმწიფოს ლაშქრობა" იმ მიზნით, რომ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში, გაჩაღდა სასტიკი სამოქალაქო ომი და განმათავისუფლებელი, რევოლუციური, პატრიოტული ომი ინტერვენტების წინააღმდეგ. ამ ომის შედეგები გადაწყვიტა გმირი ხალხის ნამდვილმა რევოლუციურმა ნებამ და უმაგალითო ენერგიამ, ხალხისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტთა ლენინური პარტია და რომელსაც არ სურდა დაბრუნებოდა ძველს.

როცა ნათელი გახდა, რომ სამხედრო ძალით საბჭოთა რესპუბლიკას ვერ ჩაახშობდნენ, იმპერიალისტებმა იმედი დაამყარეს ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურ გაჩანაგებაზე. 1923 წელს ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეს სტრატეგიული გეგმა: „თუ ვერ დავამხობთ რევოლუციურ წყობილებას რუსეთში, ყოველ შემთხვევაში, გავაძნელებთ მის განვითარებას სოციალიზმისაკენო, — ასე მსჯელობდნენ, დაახლოებით, ეს სახელმწიფოები... შედეგად მიიღეს თავიანთი ამოცანის სანახევროდ გადაჭრა. მათ ვერ დაამხეს რევოლუციის მიერ შექმნილი ახალი წყობილება, მაგრამ არც იმის შესაძლებლობა მისცეს მას, რომ ახლავე გადაედგა წინ ისეთი ნაბიჯი, რომელიც გაამართლებდა სოციალისტების წინასწარმეტყველებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ უდიდესი სისწრაფით განევითარებინათ საწარმოო ძალები, განევითარებინათ ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩამოყალიბდებოდა სოციალიზმად, დაემტკიცებინათ ყველასა და თვითეულისათვის თვალნათლივ და აშკარად, რომ სოციალიზმი თავის წიაღში ატარებს გიგანტურ ძალებს და რომ კაცობრიობა ამჟამად გადავიდა განვითარების ახალ სტადიაზე, რომელსაც თან მოაქვს არაჩვეულებრივ ბრწყინვალე შესაძლებლობანი" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 589-590).

სულ ცოტა 7-8 წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ აღგვედგინა მეურნეობის ომამდელი დონე, ხოლო შემდეგ, ხუთწლედების წლებში, გიგანტური ნაბიჯით წავსულიყავით წინ, რათა დავწეოდით სხვა, ტექნიკურ-ეკონომიურად მოწინავე ქვეყნებს.

იმპერიალისტური ომითა და ინტერვენციით გამოწვეული ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის უდიდესი სიძნელეები, რომელთა გადალახვაც მოუხდა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ფართოდ გამოიყენეს კაპიტალიზმის დამქაშებმა და დამცველებმა, ყველა ჯურის რეფორმისტებმა და რევიზიონისტებმა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კაპიტალიზმის მდგომარეობა ევროპაში მეტად მერყევი იყო. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ესმოდა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმპერიალისტურ მთავრობებს მსოფლიო ხოცვა-ჟლეტისა და ომისშემდგომი ნგრევისათვის. მოხდა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა უნგრეთში, გერმანიაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, ფინეთში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში. მაგრამ რეფორმისტებმა და მარქსიზმის რევიზიონისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა გადაერჩინათ კაპიტალისტური ხომალდი, რომელიც იძირებოდა. გერმანიის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები პირდაპირ დაუკავშირდნენ ვილჰელმის ოფიცრებსა და გენერლებს, ეხმარებოდნენ გერმანიაში რევოლუციის ჩახშობაში. რეფორმისტები დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს აშინებდნენ „რევოლუციის ხარჯებით", ამტკიცებდნენ, რომ შეიძლება „გაუმჯობესდეს" კაპიტალიზმი, რომ კაპიტალიზმის მშვიდობიანი ევოლუციის გზით შეიძლება მივიდეთ სოციალიზმამდე.

მათ არაკეთილსინდისიერად გამოიყენეს სიძნელეები, ნგრევა, რომელსაც გმირულად ებრძოდნენ რუსეთის მუშები და გლეხები, ისინი ბოროტად დუმდნენ, რომ მთელი ეს სიძნელეები უწინარეს ყოვლისა წარმოადგენენ ომებისა და ინტერვენციის და არა რევოლუციის შედეგს. კაუცკის მსგავსი რენეგატები და რეფორმისტები მიმართავდნენ დასავლეთ ევროპის მუშებს დაახლოებით შემდეგი მსჯელობით: „შეხედეთ საბჭოთა რუსეთს: ხომ ხედავთ, რა უდიდეს მსხვერპლსა და გაჭირვებას, რა ნგრევას იწვევს რევოლუცია. განა უმჯობესი არ არის შევინარჩუნოთ კაპიტალიზმი, რომელიც თანდათანობით გადემოკ-



რატიულდება, შეიზრდება სოციალიზმს. სოციალიზმთან მისვლა ხომ შეიძლება ევოლუციის გზითაც, ურევოლუციოდ ისე, რომ არ იყოს რევოლუციური ბრძოლა და მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობა".

მაგრამ ისტორიამ ცხადყო, რომ კაპიტალიზმის შენარჩუნების „ხარჯები" გაცილებით უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე პროლეტარული რევოლუციის სიძნელეები, რომლებითაც მუშათა კლასს აშინებდნენ მარქსიზმის რევიზიონისტები და კაპიტალიზმის ყოველგვარი რეფორმისტი ლაქიები. კაპიტალიზმის „დემოკრატიზაციის" ნაცვლად იმპერიალიზმმა წარმოშვა ისეთი სისხლისმსმელი და საშინელი ნაშიერი, როგორც ფაშიზმი. რევოლუციას რომ გაემარჯვა და განმტკიცებულიყო ევროპის ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანაში 20-იან წლებში, როცა იქ რევოლუციური სიტუაცია იყო, არ იქნებოდა ფაშიზმი, არ იქნებოდა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც კაცობრიობას გაცილებით მეტი უბედურება და მსხვერპლი მოუტანა, ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა.

მეორე მსოფლიო ომი, ისევე როგორც პირველი, წარმოიშვა იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემის წინააღმდეგობათა შედეგად. უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოები — ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები — თავის დროზე აქტიურად ეხმარებოდნენ ფაშისტური გერმანიის შეიარაღებას, ცინიკურად ვარაუდობდნენ ჰიტლერული აგრესია წარემართათ აღმოსავლეთისაკენ, მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის წინააღმდეგ, იმედი ჰქონდათ ფაშიზმის „როგორც ევროპის საიმედო გუშაგისა კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ". მაგრამ ეს „საიმედო გუშაგი" უწინარეს ყოვლისა იმათ წინააღმდეგ მიბრუნდა, ვინც იგი შეაიარაღა. გერმანულმა ფაშიზმმა დაიმონა თითქმის მთელი კონტინენტური ევროპა, წარმოუდგენელი უბედურება და ტანჯვა მიაყენა ევროპის ხალხებს. და მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნის დიდმა ძალამ და გმირობამ, ჩვენი კომუნისტური პარტიის ბრძნულმა და შორსმჭვრეტელურმა ლენინურმა პოლიტიკამ იხსნა კაცობრიობა სრული ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავის მოკავშირეებთან ერთად საბჭოთა კავშირმა გაანადგურა გერმანიის ფაშიზმი და იაპონიის მილიტარიზმი. საბჭოთა ხალხმა მძიმე მსხვერპლი და დანაკლისი განიცადა დიდ სამამულო ომში. მარტო საერთო მატერიალური ზარალი, სამხედრო ხარჯები და შემოსავლის დანაკარგი სამამულო ომის წლებში შეადგენს უზარმაზარ თანხას — 2.569 მილიარდ მანეთს. ეს უდრის 485 მილიარდ დოლარს, მაშინ როცა ზოგიერთი ამერიკელი ეკონომისტის გამოანგარიშებით ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ნაციონალური სიმდიდრე 1949 წელს შეადგენდა 898 მილიარდ დოლარს. ეს უზარმაზარი სახსრები მშვიდობიან მშენებლობას რომ მოხმარებოდა, ჩვენი ქვეყანა ახლა უკვე ახლოს იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების წარმოების დონით.

ყოველი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც ასეთი მძიმე ზარალი მოუვიდოდა, მრავალი ათეული წლების განმავლობაში ვერ გაიმართებოდა წელში. და მხოლოდ საბჭოთა კავშირმა, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების, მეურნეობის გეგმიანი სისტემის უპირატესობათა, სახალხო მეურნეობის აღმავლობაში მშრომელთა სასიცოცხლო დაინტერესების მეოხებით არა მარტო აღადგინა მთელი დანგრეული მეურნეობა, არამედ შორსაც წავიდა წინ ომამდელ პერიოდთან შედარებით. ჩაიფუშა სოციალიზმის მტრების ვარაუდი, რომ დიდი ხნით შეფერხდებოდა საბჭოთა კავშირის განვითარება კომუნიზმისაკენ, რომ ამით შესუსტდებოდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების მიმზიდველი ძალა.

დღეს, შეიძლება ითქვას, აღარ მოიძებნება ბურჟუაზიულ ქვეყნებში ისეთი ეკონომისტი ან პოლიტიკოსი, რომელიც უარყოფდეს მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის გიგანტურ წარმატებებს მისი არსებობის 40 წელიწადში. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ბურჟუაზიული ლიტერატორები ლენინს უწოდებდნენ „კრემლის მეოცნებეს", როცა მთელი ბურჟუაზიული პრესა 30-იანი წლების დასაწყისში წინასწარმეტყველებდა პირველი ხუთწლედის ჩაფუშვას. ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ, რაც მოპოვებულ იქნა საბჭოთა ხალხის დიდი გმირობით, რომელიც ემყარებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ ძლიერებას, პირველი ხუთწლედების წლებში რომ შეიქმნა, საკოლმეურნეო წყობილებას, — მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადი გახდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების სასწაულებრივი ძალა. დედამიწის ორი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომლებიც პირველნი აფრინდნენ კოსმოსში და ახალი ერა შექმნეს ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების ისტორიაში, გახდა სოციალისტური მეცნიერებისა და სოციალისტური ტექნიკის ნამდვილი გამარჯვება, რამაც თვალნათლივ და დამაჯერებლად დაადასტურა მათი უპირატესობა კაპიტალისტური მეცნიერებისა და ტექნიკის წინაშე.

ლენინმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამდა სამეურნეო აღდგენის საქმეში ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე გამარჯვების შემდეგ, მტკიცედ იწინასწარმეტყველა:

„ჩვენ იმასაც მივაღწევთ, რომ სხვა სახელმწიფოებს დავეწიოთ ისეთი სისწრაფით, რომელზეც მათ არც კი უოცნებიათ".

ლენინი შემდეგ ამბობდა:

„ჩვენ ვისწავლეთ იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ვადა... რაიმე ცვლილებათა ფანტასტიკურ სისწრაფეს ჩვენში არავინ დაიჯერებს, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი სისწრაფე, სისწრაფე, შედარებით ისტორიული განვითარების ყოველგვარ პერიოდთან, აღებულთან ისე, როგორც იგი იყო, — ასეთი სისწრაფე, თუ მოძრაობას ხელმძღვანელობს ნამდვილად რევოლუციური პარტია, ასეთი სისწრაფე ჩვენ გვწამს, ასეთ სისწრაფეს ჩვენ უცილობლად მივაღწევთ" (თხზ., ტ. 33, გვ. 463).

ჩვენმა პარტიამ, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელმა ჩვენმა გმირმა ხალხმა სავსებით გაამართლეს ლენინის იმედები, ღირსეულად შეასრულეს ლენინური გეგმები და წინასწარდასახულობანი!

შესრულდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა, შეიქმნა მსხვილი კოლექტიური მექანიზებული მიწათმოქმედება, მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. რევოლუციამდე ჩვენი სამშობლო იყო ჩამორჩენილი, წერა-კითხვის უცოდინარი, წვრილგლეხური ქვეყანა, რომელსაც ახშობდა ცარიზმი, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელი, მიჯაჭვული იყო მძარცველური სესხებით დასავლეთის იმპერიალიზმის ეტლთან. სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაღვიძა ხალხის კოლოსალური ძალები, წარმოშვა მასების უდიდესი ენერგია დიადი მიზნებისათვის. ჩვენი სამშობლო უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში ინდუსტრიის განვითარების დონის მხრივ. ეკონომიკის ასეთი სწრაფი განვითარება ჩვენს რევოლუციამდე არ ყოფილა არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ისტორიულ პერიოდში. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის დიდი მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება, აგრეთვე სოციალიზმის მშენებლობის დიდი გამოცდილება ჩინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში ასეთ გიგანტურ, არაჩვეულებრივ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნებზე, რომლებმაც თავი დააღწიეს ან თავს აღწევენ იმპერიალიზმის უღელს და ისწრაფვიან დაძლიონ თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენა.

ჩვენი სამშობლო წარმატებით წყვეტს ძირითად ეკონომიურ ამოცანას — დავეწიოთ, ხოლო შემდეგ კიდევაც გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირი ამ ამოცანას რომ გადაჭრის. — ეს ახლა საეჭვოდ აღარ მიაჩნია კაპიტალისტური სამყაროს ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს. მათ დავა აქვთ მხოლოდ ვადებზე: ზოგი ამბობს, რომ ეს შეიძლება მოხდეს 20-25 წლის შემდეგ, ზოგს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია მიაღწიოს ამას 70-იანი წლების დამდეგსაც კი, ესე იგი 12-15 წლის შემდეგ.

„საბჭოთა კავშირს შეუძლია დაეწიოს შეერთებულ შტატებს წარმოების საერთო მოცულობის მხრივ 20 წლის განმავლობაში, თუ შეერთებული შტატები თუნდაც განაგრძობენ თავიანთი საწარმოო სიმძლავრეების გადიდებას უკანასკნელი რამდენიმე წლის ტემპით", — აღიარებდა ამას წინათ ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".

ინტერესს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური ყოველწლიურის მონაცემები სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების ტემპების შესახებ, რაც ამას წინათ გამოქვეყნდა. ომისშემდგომი 9 წლის მანძილზე — 1948 წლიდან 1956 წლამდე სამრეწველო წარმოება კაპიტალისტურ სამყაროში გაიზარდა თითქმის 60 პროცენტით, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში სამრეწველო წარმოება გადიდდა ერთისამად და უფრო მეტად. ოთხი წლის მანძილზე — 1953 წლიდან 1956 წლამდე კაპიტალისტური სამრეწველო წარმოება გადიდდა 16 პროცენტით, ხოლო წარმოება სსრ კავშირში — 41 პროცენტით; წარმოება შეერთებულ შტატებში კი ამ წლებში სულ მხოლოდ 7 პროცენტით გაიზარდა.

ახლა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები შევიდნენ ეკონომიური კრიზისის ხანაში, მკვეთრად ქვეითდება წარმოების დონე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, უმუშევართა რიცხვი 6 მილიონ კაცს აღემატება.

აბსოლუტური ციფრები, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური ორგანო შეიცავს, ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირი სისტემატურად უახლოვდება თავისი მიზნის მიღწევას — დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამრეწველო წარმოების დონის მხრივ.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი წარმოების დარგში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ჰოუჯის განცხადებით, ყველაზე მეტად აშფოთებს შეერთებულ შტატებს — „საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით: საქმე ეხება კომუნიზმის მიმზიდველ ძალას მსოფლიოს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის და იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არც ერთ ბანაკს არ მიმხრობიან".

ჩვენი ქვეყანა ახლა იმყოფება ეკონომიური განვითარების აყვავების ხანაში და განიცდის მეურნეობის ყველა დარგის უდიდეს საწარმოო აღმავლობას. საქმე ეხება არა მარტო წარმოების მოცულობის გადიდებას, არამედ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მთელი ეკონომიკისა და კულტურის მკვეთრ აღმავლობას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებას, ახალ ხარისხობრივ ცვლილებებს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებულია საბჭოთა ხალხის ტიტანური შრომით კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, რომელიც აღფრთოვანებულია და ხელმძღვანელობს დიდი ლენინის უკვდავი მოძღვრებით.

## II. ჩვენი ეპოქის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა

ჩვენი ეპოქის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა, რომელიც რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო. ოქტომბრის რევოლუციის იდეების, მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის დიდი მაგალითის გავლენით, ფაშიზმის განადგურებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობის შედეგად, სოციალისტურ მოძრაობად მძლავრი ანტიფაშისტური დემოკრატიული მოძრაობის გადაზრდის შედეგად— ძირეულად შეიცვალა მსოფლიოს სურათი.

როგორც სამართლიანად აღნიშნულია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა იმ თათბირის დეკლარაციაში, რომელიც 1957 წლის ნოემბერში გაიმართა:

„ახლა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უკვე მესამედზე მეტი — ცხრაას ორმოცდაათ მილიონზე მეტი კაცი — დაადგა სოციალიზმის გზას და ახალ ცხოვრებას აშენებს. სოციალიზმის ძალების უდიდესმა განვითარებამ სტიმული მისცა ანტიიმპერიალისტური ეროვნული მოძრაობის სწრაფ ზრდას ომისშემდგომ პერიოდში. უკანასკნელ 12 წელიწადში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გარდა, შვიდას მილიონზე მეტი კაცი აგრეთვე განთავისუფლდა კოლონიური ჩაგვრისაგან და შექმნა ეროვნული სუვერენული სახელმწიფოები. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ არიან მონობაში, აძლიერებენ ბრძოლას თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის. სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებამ მკვეთრად დააჩქარა იმპერიალიზმის დაშლის პროცესი. კაცობრიობის მეტ ნაწილზე იმპერიალიზმმა დაკარგა ყოფილი ბატონობა".

ლენინმა ჯერ კიდევ 1921 წელს გენიალურად განჭვრიტა, რომ „დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოძრაობა, თავდაპირველად ეროვნული განთავისუფლებისაკენ მიმართული, პირს იბრუნებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და, იქნებ, მან გაცილებით მეტი რევოლუციური როლი შეასრულოს, ვიდრე ჩვენ მოველით" (თხზ., ტ. 32, გვ. 614). გამართლდა ლენინის დიდი წინასწარჭვრეტა. კოლონიური სისტემის დაშლა ნიშნავს იმპერიალიზმის ზურგის დამხობას, მის მიერ თავისი რეზერვების დაკარგვას, იმის შესაძლებლობის დაკარგვას, რომ ძარცვით გამოძალოს კოლონიის ხალხებს გიგანტური ზემოგება, რომელსაც

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის უძლეველი დროშა

## ამხანაგ პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

(გაგრძელება)

იმპერიალიზმი იყენებდა დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარკვეული ნაწილის რეფორმისტული გახრწნისათვის. აღმოსავლეთის ხალხები სულ უფრო მეტად აღარ არიან იმპერიალიზმის რეზერვი, მათი თანაგრძნობა სოციალიზმის ქვეყნების მხარეზეა, რომლებიც პრინციპული მოსაზრებით ემხრობიან ყველა ხალხის დამოუკიდებლობას, თანასწორუფლებიანობასა და მეგობრობას. აღმოსავლეთის ხალხებს ესაჭიროებათ მშვიდობა, რათა ბოლო მოუღონ თავიანთ ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას — ამიტომ ისინი აქტიურად იბრძვიან მშვიდობის საქმისათვის, იბრძვიან ომის იმპერიალისტური გამჩაღებლების ხრიკების წინააღმდეგ.

მაგრამ იმპერიალისტურ ქვეყნებშიც, რომლებშიც დაახლოებით 500 მილიონი მოსახლე ითვლება, მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისუფლდება იმპერიალიზმის გავლენისაგან, სულ უფრო მტკიცედ ეწინააღმდეგება იმპერიალიზმისა და მონოპოლიების პოლიტიკას, იბრძვის თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დემოკრატიული უფლებებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

იზრდება წინააღმდეგობა თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალისტური წრეები „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ალმით ისწრაფვიან მოიპოვონ ბატონობა მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში, ისწრაფვიან განდევნონ თავიანთი კაპიტალისტური პარტნიორები და კონკურენტები მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული აგრესიული წრეები ისწრაფვიან თავიანთ გარშემო მოუყარონ თავი კაპიტალისტური სამყაროს მთელ რეაქციულ ძალებს, ეწევიან სისტემატურ მტრულ ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მსოფლიო რეაქციის ძალები კვლავ აიარაღებენ ყოფილ ჰიტლერელ გენერლებს ამჯერად მეტად საშიში ატომური იარაღით. როგორც ჩანს, მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებს მათთვის სარგებლობა არ მოუტანია. რეაქციონერებმა, როგორც მუდამ იყო ხოლმე ისტორიაში, ვერაფერი ვერ გაიგეს და ვერაფერი ვერ ისწავლეს.

ვინ არის დამნაშავე საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებაში, საიდან მოდის ომის საფრთხე?

არიან ანგარებიანი და არაადამიანური ძალები, რომლებსაც სწყურიათ დიდი მოგება, დაინტერესებული არიან ომით, განიცდიან, ამერიკული პრესის ხატოვანი თქმით, „შიშს მშვიდობის წინაშე“. ესენი არიან კაპიტალისტური, უწინარეს ყოვლისა ამერიკის მონოპოლიები. ესენი არიან ძალის პოლიტიკის, „ომის ზღვარზე“ პოლიტიკის მომხრენი, რომლებიც უბრძანებენ წყალბადის ბომბებით დატვირთულ თვითმფრინავებს იფრინონ ევროპის ქალაქების თავზე, ბომბდამშენებს ატომური და წყალბადის ბომბებით გზავნიან საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ და რისკს ეწევიან ყოველდღე პროვოკაციულად გამოიწვიონ ყველაზე საშინელი ომი.

ისინი უსინდისოდ სდებენ ბრალად საბჭოთა კავშირს აგრესიულ განზრახვებს და ჩვენს დიპლომატიას აბრალებენ მშვიდობის პროპაგანდას.

მათთვის, მართლაც, საძულველია მშვიდობა. ისინი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ აშკარად აცხადებდნენ ამას, მაგრამ ახლა ამ აზრებს მალავენ და თავს იკატუნებენ, აქაო და „თავი უნდა დავიცვათ“ კომუნიზმის საფრთხისაგანო.

თანამედროვე იმპერიალიზმის პარაზიტული, კაცობრიობისათვის მტრული ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აღინიშნება „შიშით მშვიდობის წინაშე“.

1945 წლის მაისში, როცა ევროპის გაწამებულ ხალხებს უხაროდათ გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვება, ემზადებოდნენ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლისათვის, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებაზე, — ამერიკელი ეკონომისტები შეიკრიბნენ თავიანთ 57-ე კონფერენციაზე და გულგრილად მსჯელობდნენ, რომ ამერიკის კაპიტალიზმისათვის სასურველი და საჭიროც კი არის... ახალი ომი. აი არსებითად რა კაცისმჭამლურ სიტყვებს ამბობდნენ ეს „დიდად განათლებული“ და „ღვთისმოშიში“ ადამიანები იმისათვის, რომ ახალი ომის საჭიროება „მეცნიერულად“ დაესაბუთებინათ. კენეტ ბოულდინგმა თავის მოხსენებაში შემდეგი განაცხადა: „ჩვენი საუკუნის უდიდესი პრობლემა ამჟამად ის არის, რომ მოხმარება ავიყვანოთ ისეთ დონეზე, რომლითაც შეიძლებოდეს შევინარჩუნოთ სრული წარმოება. საუბედუროდ, დიდი მასშტაბით მოხმარების ერთადერთი მისადები მეთოდი არის ომი და, ცხადია, სწორედ ამ მეთოდს მიმართავენ ერები, როცა სიუხვის ტვირთი მეტად მძიმე ხდება. მსოფლიო ამჟამად იმყოფება მის მიერვე შექმნილი შემაძრწუნებელი დილემის მუხრუჭში: ან გააფართოოს მოხმარება ომის საშუალებით, ან შეამციროს წარმოება კრიზისებისა და უმუშევრობის საშუალებით“. (კრებული „ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული იდეოლოგია და პოლიტიკა“ გვ. 114).

ეს ახალი ომის ნამდვილი პროპაგანდა იყო. მალე კი დაიწყო ეგრეთწოდებული „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყოვლად წარმოუდგენელი ცრუ ლოზუნგით „რუსეთს ომი სურსო“. აი სწორედ ამაზეა ნათქვამი ანდაზა — ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო! დიდი სიცრუის ეს კამპანია დღემდე გრძელდება ბურჟუაზიულ პრესაში.

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ამერიკელი ეკონომისტების ამ ფორმულის შესაზარ აზრს: „დიდი მასშტაბით მოხმარების ერთადერთი მისაღები მეთოდია ომი“. ადამიანები მუდამ ოცნებობდნენ მშვიდობაზე, როგორც უმაღლეს სიკეთეზე, ლოცულობდნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობაზე. თანამედროვე იმპერიალიზმის იდეოლოგებს მოხმარების საუკეთესო მეთოდად და უმაღლეს სიკეთედ ომი მიაჩნიათ. ეს თანამედროვე კაპიტალიზმის არა მარტო სულიერი გაღატაკებაა, არამედ ეს სრული მორალური გადაგვარებაა. საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ვერ იარსებებს, თუ არ იქნა ომი ან გამალებული შეიარაღება, ისტორიის მიერ განწირულია დასაღუპავად, იგი კაცობრიობის საშიში და საზარელი მტერია.

სოციალისტურ ქვეყნებს კი ომი არ ესაჭიროებათ. მათ ესაჭიროებათ მხოლოდ მშვიდობა თავიანთი ეკონომიკის სრული აყვავებისათვის, კომუნიზმში გადასვლისათვის. სოციალიზმის ძალები მთელ მსოფლიოში უკვე იმდენად გაიზარდა, რომ მათ შეუძლიათ შეაჩერონ ომი. ეს თქვა ჩვენი პარტიის XX ყრილობამ. ეს დაამტკიცა საბჭოთა კავშირმა, შეაჩერა რა იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული ომი ეგვიპტის წინააღმდეგ, როცა იგი უკვე დაიწყო.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მოღვაწე იმდენად დაუბრმავებია ზოოლოგიურ სიძულვილს კომუნიზმისადმი, რომ იმაზეც კი მზად არის დათანხმდეს, რომ ატომურ ომში დაიღუპოს ნახევარი კაცობრიობა. ეს დაგვანახვა ინგლისელმა ლორდმა დანდიმ თავისი სიტყვით პარლამენტის ზედა პალატაში 1957 წლის 7 ნოემბერს. მან თქვა: „ჩვენ უფრო ვამჯობინებთ ატომგულის ომში ნახევარი მსოფლიოს მოსპობის პერსპექტივას, რათა შემდეგში თავისუფალ ადამიანთა მცირე თანამეგობრობამ შეძლოს კვლავ დაიწყოს შენება, ვიდრე იმას, რომ გვქონდეს ისეთი მსოფლიო, რომელშიც ყველას შეეძლება განაგრძოს სიცოცხლე როგორც კომუნისტური ტირანიის მონამ“.

რასაკვირველია, ასეთ ადამიანებთან ძნელია რამეზე შეთანხმება. მათ, არსებითად რომ ვთქვათ, სძულთ არა მარტო კომუნიზმი, არამედ კაცობრიობაც, თუ ასე ადვილად თანხმდებიან იმ პერსპექტივაზე, რომ ნახევარი მსოფლიო მოისპოს ატომურ ომში. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არიან უფრო გონიერი და ჰუმანური პოლიტიკოსები.

კაპიტალისტურ სამყაროში არიან მეტად რეაქციული ძალები, რომლებიც მანიაკის ჯიუტობით იცავენ ძალის პოლიტიკას და რომლებიც მზად არიან წინდაუხედავად და დანაშაულებრივად მოიქცნენ, არაფრად ჩააგდონ კაცობრიობის ბედი, სათამაშოდ გაიხადონ ატომური და წყალბადის ბომბები. მაგრამ, მეორე მხრივ კაპიტალისტებს შორისაც, ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორისაც არიან საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ილაშქრებენ ომის წინააღმდეგ, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ არც საბჭოთა კავშირი, არც სხვა სოციალისტური ქვეყნები დაინტერესებული არ არიან ომით, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია.

ჩვენ მივესალმებით და ყოველნაირად დავუჭერთ მხარს კაპიტალისტური ქვეყნების იმ ადამიანებს, რომლებიც, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად, ისწრაფვიან გაათავისუფლონ კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის საფრთხისა და უგუნური გამალებული შეიარაღებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ორი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებასა და თანამშრომლობას, იბრძვიან საერთაშორისო ვაჭრობის ფართო განვითარებისა და მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში ურთიერთობის გაძლიერებისათვის.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების ზრდასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან, მსოფლიოს შეცვლილ სურათთან დაკავშირებით ახლებურად ისმება კაპიტალისტური გარემოცვის ცნების საკითხიც.

როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში აღინიშნა, სწორი არ იქნება, რომ ამჟამად ვილაპარაკოთ კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის, მთელი სოციალისტური სისტემის ძალები იმდენად გაიზარდა, რომ მათი გარემოცვა, ალყაშემორტყმული ციხის მდგომარეობაში ჩაყენება, რომელშიც საბჭოთა კავშირი ათობით წლების მანძილზე იყო, ახლა უკვე შეუძლებელია. მაგრამ სანამ იმპერიალიზმი რჩება, დარჩება აგრეთვე ნიადაგი აგრესიული ომებისათვის, რჩება სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური აგრესიის საფრთხე.

მშვიდობის საქმეს იცავენ თანამედროვეობის მძლავრი ძალები, პირველ რიგში სოციალიზმის ურყევი ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ჩვენმა სახელოვანმა ლენინურმა პარტიამ, ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა სრული მხარდაჭერით გააჩაღეს ჭეშმარიტად გიგანტური ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, იმ ადამიანთა ავბედითი გეგმების წინააღმდეგ, რომლებსაც ეშინიათ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა.

ამ ბრძოლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 31 მარტის ისტორიული დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ და მოწოდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისადმი ასევე შეწყვიტონ გამოცდა. ამ დადგენილებას, რომელიც მიღებულია ჩვენი პარტიის ინიციატივით, მხურვალე მოწონებითა და მადლობით შეხვდა მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ყველა პატიოსანი ადამიანი, რომელნიც არ დაუბრმავებია კომუნიზმის სიძულვილს და რომელთაც შესწევთ უნარი საღად შეაფასონ უდიდესი ჰუმანურობის და კაცობრიობის მომავალზე ზრუნვის ეს აქტი.

და ეჭვი არ არის, რომ ჩვენი დიადი, კეთილშობილური ბრძოლა მშვიდობისათვის, ატომური და თერმოატომგულის ომისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ყოველთვიურად სულ უფრო გაიზრდება და გაძლიერდება, სულ უფრო მეტ მომხრეს მოიპოვებს მსოფლიოს ხალხთა შორის.

სოციალისტური ქვეყნები, ეყრდნობიან რა მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის მხარდაჭერას, ეწევიან დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისათვის; ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის, დარწმუნებული არიან, რომ ამ მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გამოვა გამარჯვებული.

სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობა, სოლიდარობა და ძმური ურთიერთდახმარება, ლენინიზმისადმი ერთგულება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება — სოციალიზმის საქმის, მშვიდობის საქმის უძლეველობის საწინდარია.

სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები გახდნენ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველი სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში, ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის საფუძველი.

ვ. ი. ლენინის შრომებში მოცემულია გენიალური მითითებანი, რომლებიც განსაზღვრავენ იმ ქვეყნების ურთიერთობის განვითარების პრინციპულ ხაზს, რომლებიც სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ. ლენინი წერდა:

„თუ არ იქნა მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ერის პროლეტარიატის, შემდეგ კი აგრეთვე მთელი მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება კავშირისა და ერთიანობისაკენ, ისე კაპიტალიზმზე გამარჯვების საქმე არ შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს“. (თხზ., ტომი 31, გვ. 172).

სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა ნებაყოფლობითი კავშირია თანასწორუფლებიანი თავისუფალი ხალხებისა, რომლებმაც შეგნებულად გააერთიანეს თავიანთი ღონისძიებანი სოციალიზმის მშენებლობისათვის, იმპერიალიზმის ხელყოფისაგან თავიანთ მონაპოვართა დაცვისათვის.

ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა სოციალისტური ქვეყნების ისეთი თანამეგობრობის არსებობისა და განმტკიცების სასიცოცხლო საჭიროება, როგორიც არის სოციალისტური ბანაკი. ახლა უკვე შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური ბაზარი, რომელიც ვითარდება სრულიად სხვა კანონების საფუძველზე, ვიდრე მსოფლიო კაპიტალისტური ბაზარი. სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება სოციალიზმის ქვეყნების სხვადასხვამხრივი ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილების გაზიარება.

სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის მთავარი მიზანია ურთიერთ ხელშეწყობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მისწრაფება დაეხმარონ ერთმანეთს და მიაღწიონ საერთო ეკონომიურ აღმავლობას როგორც თვითეული ცალკე სოციალისტური ქვეყნის, ისე მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებისათვის. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის ერთიანობა, ის, რომ მათ შორის არ არის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, შესაძლებლობას აძლევს მათ მოაწყონ ერთმანეთს შორის ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობის წლებში სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის ცოტა გამოცდილება როდი დაგროვდა. თეორიულად განაზოგადეს რა თავიანთ დეკლარაციაში სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის ბრძოლის გიგანტური პრაქტიკული გამოცდილება, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ამით კოლექტიური წვლილი შეიტანეს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით განვითარებაში, მოგვცეს საერთაშორისო მდგომარეობის, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის პერსპექტივების ღრმა ანალიზი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ დებულებას სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მთავარ კანონზომიერებათა შესახებ, რაც სჩვევია ყველა ქვეყანას, რომლებიც სოციალიზმის გზას ადგებიან, და იმის შესახებ, რომ საჭიროა სწორად გამოვიყენოთ კომუნიზმის ძირითადი პრინციპები ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული პირობებისა და ეროვნულ თავისებურებათა შესაბამისად.

დეკლარაციაში დაგმობილია რევიზიონიზმი, როგორც მთავარი საფრთხე თანამედროვე პირობებში, აგრეთვე დოგმატიზმი და სექტანტობა, რომლებიც ასუსტებენ პარტიის კავშირს მასებთან. თანამედროვე რევიზიონისტები თავიანთი იდეური შეხედულებებით შორს არ წასულან როგორც ბერნშტეინის ტიპის ძველი რეფორმისტებისაგან, ისე II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისაგან, როგორიც იყვნენ კაუცკი და მისი მსგავსნი. პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის იგივე იდეები, კლასობრივ ბრძოლაზე უარისთქმა, კაპიტალიზმის შელამაზება, კაპიტალისტურ წყობილებასთან შემგუებლობა, ილუზიები კაპიტალიზმის სოციალისტური „ევოლუციის“ შესაძლებლობის შესახებ — ყოველივე ეს უმნიშვნელო ვარიაციებით და ცვლილებებით შეადგენს აგრეთვე თანამედროვე რევიზიონისტების თეორიულ ბარგს.

იდეური პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში და რომლებიც ყველა მოძმე პარტიამ მოიწონა, წარმოადგენენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი კონსოლიდაციის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთობის განმტკიცების საფუძველს.

მოსკოვის თათბირზე კომუნისტურმა პარტიებმა ცხადყვეს ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, მისწრაფება სავსებით გამოიყენონ მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის ყველა შესაძლებლობა, რაც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაშია. დოკუმენტები, რომლებიც კოლექტიურად შემუშავდა თათბირზე უმაგალითო ერთობის ვითარებაში, დახმარებას უწევენ ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთ გარშემო მშრომელთა უფართოესი მასები, განამტკიცონ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა, მოიპოვონ სულ ახალი და ახალი გამარჯვება მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამას წინათ ბელგრადში გამოქვეყნდა და განხილულ იქნა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტი, რომელიც მოძმე პარტიებსაც დაეგზავნა. ამ პროექტში არის მთელი რიგი ზოგადი მარქსისტულ-ლენინური დებულებანი, ზოგიერთი სწორი განზოგადება. მაგრამ პროგრამის პროექტში, განსაკუთრებით იმ განყოფილებებში, რომლებიც მიძღვნილია საერთაშორისო ვითარებისადმი, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისადმი, ზოგიერთი პრინციპული იდეოლოგიური საკითხისადმი, არის გარკვეული ტენდენცია, რომ თავისი საკუთარი პოზიცია დაუპირისპირონ ყველა სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიის ერთიან მარქსისტულ-ლენინურ აზრს. როგორც ცნობილია, ეს ერთიანი აზრი გამოთქმულია ყველაზე წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული საერთაშორისო ფორუმის დოკუმენტებში — დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტში. ამ დოკუმენტებს მხარი დაუჭირა არა მარტო ყველა მარქსისტულმა პარტიამ, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა უმრავლესობამაც. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტში წამოყენებულია მთელი რიგი ძირითადი დებულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს, არის ცდები — ნეიტრალისტური პოზიცია დაიკავონ ისეთ საკითხებში, რომლებშიც მარქსისტისათვის არ შეიძლება იყოს ნეიტრალობა.

ობიექტურად იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტი არის ისეთი დოკუმენტი, რომლის მიზანია არსებითად დაასუსტოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა, დაასუსტოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ბურჟუაზიულმა პრესამ ქება-დიდება დაუწყო ამ დოკუმენტს, როგორც კი იგი გამოქვეყნდა. იმედი ვიქონიოთ, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობა, სანამ პროგრამის საბოლოო ტექსტს მიიღებდეს, საჭირო გაუმჯობესებას შეიტანს.

სოციალისტური ქვეყნების შემდგომი შეკავშირების გადამწყვეტი პირობაა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ძმური ურთიერთდახმარების პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება. ამერიკის იმპერიალიზმის მესვეურთა მკვეხარა ლაყბობის წინააღმდეგ, რომ თითქოს მათ შეძლეს გამოიწვიათ „კომუნიზმის კრიზისი“, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა ახლანდელსავით მტკიცე არასოდეს არ ყოფილა. კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მაღლა უჭირავთ და კვლავაც მაღლა დაიჭერენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უძლეველ ლენინურ დროშას.

## III. ლენინიზმი კომუნიზმისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის დროშაა

ლენინი გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმი აუცილებლად კომუნიზმში უნდა გადაიზარდოს“. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ საქმე ეხება სწორედ სავსებით განმტკიცებული და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანდათანობით გადაზრდას კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში, როცა საზოგადოების მთავარი პრინციპი იქნება — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“.

ჩვენი პარტია, ხელმძღვანელობს რა ლენინის მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ღონისძიებებს ახმარს კაცობრიობის ყველაზე მაღალი, ყველაზე დიადი იდეის — კომუნიზმის იდეის განხორციელებას. ლენინმა შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის გეგმები, განსაზღვრა მისი მთავარი მიმართულებანი. ლენინმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მათ შორის ელექტროფიკაციის საქმეს; ლენინმა შეიმუშავა მსხვილი, კოლექტიური, მექანიზებული მიწათმოქმედების შექმნის კოოპერაციული გეგმა; ლენინმა წამოაყენა კულტურული რევოლუციის ლოზუნგი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ კომუნიზმი, უმაღლესი საზოგადოებრივი წყობილება, გაიმარჯვებს შრომის მაღალი ნაყოფიერების, მოწინავე ტექნიკის დაუფლების, შრომის შეგნებული დისციპლინის დანერგვის, წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის ბაზაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, თუ პრაქტიკული გამოცდილება არა გვაქვს, ვერ გავცემთ პასუხს, რა ეტაპებით, რა კონკრეტული გზებით წავა კაცობრიობა კომუნიზმისაკენ. მან აღნიშნა, რომ სოციალიზმის განვითარებისათვის და კომუნიზმისაკენ წარმატებითი სვლისათვის დროზე უნდა დავუჭიროთ მხარი მასების შემოქმედებითს ინიციატივას, შევისწავლოთ და განვაზოგადოთ პრაქტიკული გამოცდილება ცენტრში და ადგილებზე, განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ მეურნეობის ხელმძღვანელობა. ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ ლენინი წერდა: „...დადგა სწორედ ის ისტორიული მომენტი, როდესაც თეორია იქცევა პრაქტიკად, სულდგმულდება პრაქტიკით, სწორდება პრაქტიკით, მოწმდება პრაქტიკით, როდესაც განსაკუთრებით სწორია მარქსის სიტყვები: „პრაქტიკული მოძრაობის ყოველი ნაბიჯი ღირს პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანია...“ (თხზ., ტ. 26, გვ. 480).

პასუხს იმ კითხვებზე, თუ როგორ გადავწყვიტოთ ახალი ამოცანები, რომლებიც ისახება საბჭოთა საზოგადოების, ჩვენი ეკონომიკის განვითარების მსვლელობაში, კომუნისტური პარტია პოულობს არა ცალკეულ ციტატებში, არამედ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუძემდებელ პრინციპებში, კომუნისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებაში. წყვიტს რა ისეთ გიგანტურ ახალ პრაქტიკულ ამოცანებს, როგორიც არის 36 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, როგორიც არის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, პროფკავშირების უფლებებისა და საქმიანობის ფორმების გაფართოება, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მტს-ების რეორგანიზაცია, პარტია უზრუნველყოფს საწარმოო ძალების უფრო სწრაფ განვითარებას, კიდევ უფრო ფართო გასაქანს აძლევს მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემოქმედებითს ინიციატივას. ამასთანავე ამ ღონისძიებებს აქვთ აგრეთვე უდიდესი პრინციპული თეორიული, საპროგრამო მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების დადგენილებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარების შესანიშნავი ნიმუშებია. ამ გადაწყვეტილებებში დასახულია კომუნისტური მშენებლობისა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა, დასახულია ამ პროგრამის განხორციელების კონკრეტული გზები.

პარტიამ გაანადგურა და თავის გზაზე ჩამოიშორა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფი, რომელმაც გაილაშქრა XX ყრილობის ხაზის წინააღმდეგ, აფერხებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებას სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საკითხებზე, ჯგუფი, რომელიც მოსწყდა ცხოვრებას, ვერ ხედავდა ახალ პროცესებს, ეწინააღმდეგებოდა პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, რომლებიც ახლა წარმატებით განხორციელებულია. ახალი დიდი წარმატებანი ჩვენი მრეწველობისა, რომელმაც პირველი კვარტალის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, დაკავშირებულია მართვისა და დაგეგმვის გარდაქმნასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობასთან. ჩვენს ქვეყანაში 1958 წლის I კვარტალში გამოდნობილი ფოლადის რაოდენობა, ამერიკელი ეკონომისტების გამოანგარიშებით, შეადგენს უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში I კვარტალში წარმოებული ფოლადის რაოდენობის 70 პროცენტზე მეტს. კვლავ მტკიცედ ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ 1958 წლის პირველ კვარტალში მიგვეყიდა მოსახლეობისათვის ხორცის პროდუქტები 11 პროცენტით, ერბო-კარაქი — 16 პროცენტით, რძე და მოუხდელი რძის პროდუქტები 24 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წლის პირველ კვარტალში.

საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული ენერგიით ახორციელებს ამ უკანასკნელ წლებში ნამდვილ, რეალურ სვლას კომუნიზმისაკენ. კონკრეტულად ვლინდება ახალი და ახალი რეზერვები კომუნიზმისაკენ სვლის დასაჩქარებლად. პურის საკითხის სრული გადაჭრისათვის ასეთი რეზერვი და უმნიშვნელოვანესი ბერკეტი იყო ყამირი და ნასვენი მიწების მოკლე ვადებში ათვისება, რომელიც სამუდამოდ შევა ისტორიაში როგორც საბჭოთა ხალხის, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი გმირობა. პარტიის მხარდაჭერით გაჩაღებულია დიდი მოძრაობა კოლმეურნეობებში, რათა არა მარტო დავეწიოთ, არამედ კიდევაც გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე კვების ძირითადი პროდუქტების — რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების მხრივ. პარტიამ და მთავრობამ მიიღეს საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ნავარაუდევია 10-12 წლისათვის. მაგრამ ეს ვადები უეჭველად შემცირდება ასაწყობი რკინაბეტონით მშენებლობის ახალი ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების მეოხებით. უახლოეს ხანში მიღებულ იქნება არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი პროგრამა ქიმიური მრეწველობის უსწრაფესი განვითარების შესახებ.

ასე თანმიმდევრულად, პარტია და მთავრობა აყენებენ და წყვეტენ სახალხო მეურნეობის და უწინარეს ყოვლისა მისი მძლავრი საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, საარსებო სასიცოცხლო სიკეთის — საკვების, ბინების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის სიუხვის შექმნის — მშრომელთა სასიცოცხლო დონის ამაღლების პრობლემებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მე-40 წლისთავს მიეძღვნა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო ჩვენი პარტიის გრანდიოზული ეკონომიური პროგრამა უახლოესი 15 წლისათვის. ეს პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების ზრდას დაახლოებით 2-3-ჯერ, ამასთან პირველ პლანზეა წამოყენებული მრეწველობის ის დარგები, რომელთა პირველ რიგში განვითარება დააჩქარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესს. ამასთან საგეგმო ვარაუდი ემყარება ჩვენი გეოლოგების მიერ ახლად აღმოჩენილი გრანდიოზული ბუნებრივი სიმდიდრის — ნავთობის, გაზის, რკინის მადნებისა და სხვ. უდიდეს მარაგებს, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უკვე მიღწეულ პროგრესს.

ნავთობის ამოღება უნდა გადიდდეს 3½-4-ჯერ—350-400 მილიონ ტონამდე, ხოლო გაზის წარმოება 13-15-ჯერ, მაშინ როცა ქვანახშირის ამოღება გადიდდება დაახლოებით 1½-ჯერ. მკვეთრად გადიდდება სათბობის ბალანსში უფრო ეკონომიური, უფრო იაფი თხევადი და გაზისებრი სათბობის ხვედრითი წონა.

ფოლადის წარმოება უნდა გადიდდეს 2-2,4-ჯერ, ესე იგი 100-120 მილიონ ტონამდე. ელექტროენერგიის წარმოება უნდა გაიზარდოს დაახლოებით 4-ჯერ—800-900 მილიარდ კილოვატ-საათამდე.

მძიმე ინდუსტრიის, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების საფუძვლის პირველ რიგში განვითარებისას, პროდუქციის უდიდესი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის უძლეველი დროშაა

## ამხანაგ პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 88-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

(დასასრული)

[illegible]

...რის სამრეწველო წარმოების ერთიორად-ერთისამად გადიდების 15 წლის გეგმა წარმატებით შესრულდება არსებული ტექნიკითაც კი. მაგრამ მეცნიერება და ტექნიკა წინ წავა ჩვენს ქვეყანაში. წარმოვიდგინოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელზეც ჩვენი მეცნიერები მუშაობენ, როგორიც არის მშვიდობიანი მიზნით არა მარტო ატომის, არამედ აგრეთვე რეგულირებადი თერმოატომგულის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობა. ეს იქნებოდა ტექნიკაში ჯერ კიდევ უმაგალითო გადატრიალების მომასწავებელი, გაათავისუფლებდა მრავალი ადამიანის შრომას, მნიშვნელოვნად დააჩქარებდა კომუნიზმში გადასვლას.

დღეს ომის გამჩაღებელთა იმპერიალისტური პროპაგანდა ჯერ კიდევ აშინებს ხალხებს მოჩვენებითი „კომუნიზმის საფრთხით". ევროპისა და აზიის ხალხებს უფლება აქვთ ჰკითხონ ომის პროპაგანდისტებს: „კაცმა რომ თქვას, რა არის კომუნიზმის „საფრთხე"? რატომ არის საშიში და ვისთვის არის საშიში, თუ ადამიანები იცხოვრებენ საარსებო დოვლათის სიუხვის პირობებში, არ ეცოდინებათ გაჭირვება და უმუშევრობა, ნებაყოფლობით და შეგნებულად იშრომებენ უნარის მიხედვით და მიიღებენ მოთხოვნილების მიხედვით"?

დადგება დრო, და ჩვენი პარტია წინასწარ ხედავს ამ ვადებს, როცა მრავალ ასეულ ათასობით ადამიანი კაპიტალისტური ქვეყნებიდან ჩამოვა ჩვენს ქვეყანაში და საკუთარი თვალით ნახავს, თუ რა არის მოძრაობა კომუნიზმისაკენ, რით გამოიხატება იგი მატერიალურად და სულიერად. ისინი ნახავენ ადამიანთა ახალი საზოგადოების ცხოვრების მაღალ დონეს, ძლიერ და გაბედულ, ხალისიან ადამიანებს; ისინი, ჩვენი სტუმრები, მაშინ უფრო კარგად გაიგებენ ეგრეთწოდებული „კომუნისტური ტირანიის", „კომუნისტური საფრთხის" შესახებ სხვადასხვა ლორდისა და ამერიკელი მონოპოლისტის ლაყბობის მთელ სისაძაგლესა და სიყალბეს. და მაშინ კომუნიზმის წინააღმდეგ სიცრუისა და ცილისწამების კედელი, რომელიც კაცობრიობის ბოროტმა მტრებმა აღმართეს, დაინგრევა სამუდამოდ და საბოლოოდ!

სოციალისტური ქვეყნების დიდი მაგალითი, რომლებიც კომუნიზმში გადადიან და წლითიწლობით ამაღლებენ თავიანთი ხალხების ცხოვრების დონეს, დაუძლეველი მიმზიდველი ძალით მოახდენს გავლენას კაპიტალისტური

[illegible]

...გვიან ბოლო მოუღოს ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელმაც დიდი ხანია მოჭამა დრო, რომელიც შეიცავს კრიზისების, ომების, უმუშევრობის მუქარას, რომელიც თანამედროვე პირობებში კაცობრიობას ემუქრება უდიდესი უბედურებით?

კაცობრიობა, როგორც ეს განჭვრიტეს ჩვენმა დიდმა მასწავლებლებმა მარქსმა და ლენინმა, მთელი რიგი ეტაპებით უსათუოდ მიაღწევს თავის ბრწყინვალე მომავალს, კომუნიზმს. აქ ეჭვი არ შეიძლება!

ამხანაგებო!

დიდი ლენინური მოძღვრება არის ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც აქვს ჩვენს პარტიასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას. მუდამ ხელმძღვანელობს რა ლენინის მოძღვრებით, ლენინური პარტია მტკიცედ და რწმენით უძღოდა და უძღვის საბჭოთა ხალხს ისტორიული შემოქმედების უკვლევი გზებით, ძლევამოსილად უკვლევს კაცობრიობას გზას კომუნიზმისაკენ. ლენინის დროშით ცხოვრობენ, იბრძვიან და იმარჯვებენ სოციალისტური ქვეყნების ხალხები, რომლებსაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ.

ლენინიზმის სულისკვეთება, ლენინური თეორიული ძლიერება შთააგონებდა თანამედროვეობის დიდ ისტორიულ დოკუმენტებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს, რომლებიც სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა მიიღეს. ამ დოკუმენტებით გამოთქმულია კოლექტიური სიბრძნე და კოლექტიური გამოცდილება კომუნისტური და მუშათა პარტიებისა, რომლებიც წმიდად იცავენ ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ბელადსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ხალხებსა და პარტიებს, რომლებიც იბრძვიან და იმარჯვებენ ლენინიზმის დროშით!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

**(ამხ. პ. ნ. პოსპელოვის მოხსენებამ არაერთგზის გამოიწვია მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მეორე გვერდზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მეხუთე სვეტში ქვემოდან მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს და ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მწარმოებელ საწარმოთა ხელმძღვანელებს სისტემატურად მოაწყონ კონფერენციები..." შემდეგ როგორც ტექსტშია.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ადამაშვილი** მიხეილ ისაკის-ძე — საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მუსიკოსი.

2. **აზარიაშვილი** სოლომონ სიმონის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გრიმიორი.

3. **ალახვერდიანი** ლეონ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

4. **ამირიდი** ოლიმპიადა ივანეს ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

5. **ანანიაშვილი** ელიზბარ გიორგის-ძე — მთარგმნელი.

6. **ანდრონიკაშვილი** ეთერ ნიკოლოზის ასული — მხატვარი.

7. **ანდღულაძე** ჯიმშერ ნიკიფორეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი.

8. **ანთაძე** მარგარიტა ვარდენის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

9. **ანტოკოლსკი** პაველ გრიგოლის-ძე — პოეტი.

10. **არევაძე** ალბერტ ვარლამის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

11. **არუთინოვი** რაფაელ სერგის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

12. **არუთინოვი** გიორგი ლევანის-ძე — თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის სცენის მემანქანე.

13. **ასლანიშვილი** ანზორ სერგის-ძე — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი.

14. **ბარხუდაროვა** სედა ნიკოლოზის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

15. **ბერელაშვილი** ნინო ზურაბის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

16. **ბერძენიშვილი** მარიამ ყარამანის ასული — მხატვარი.

17. **ბიჩენკო** ზინაიდა ივანეს ასული — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

18. **ბურდული** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე — მხატვარი.

19. **გაპონოვა** ოლიმპიადა მიხეილის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

20. **გარსევანიშვილი** გურამ გიორგის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი.

21. **გორდელაძე** გიორგი ერასტის-ძე — მხატვარი.

22. **გორენბურგი** ესთერ რუვიმის ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

23. **გორსკი** სერგი ლევის-ძე — მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილების დირექტორი.

24. **გოძიაშვილი** გიორგი დავითის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის ადმინისტრატორი.

25. **გრძელიშვილი** გოგოლა მიხეილის ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბუტაფორი.

26. **გუგუშვილი** ვლადიმერ იუსტინეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის უფროსი გრიმიორი

27. **დარსაძე** ბორის ვარლამის-ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სცენის თანამშრომელი.

28. **დერჟავინი** ვლადიმერ ვარლამის-ძე — პოეტი.

29. **დუჩიძე** დიმიტრი ილიას-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის ორკესტრის მსახიობი.

30. **ელიზბარაშვილი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

31. **ერთაწმინდელი** მაყვალა სეზმანის ასული — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი.

32. **ვლადკინი** გრიგოლ ივანეს-ძე — მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი.

33. **ვორონკოვი** კონსტანტინე ვასილის-ძე — სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

34. **თაყაიშვილი** ილია ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი.

35. **თვალთვაძე** ფატმა ანტონის ასული — მთარგმნელი.

36. **იმერლიშვილი** მარიამ ალექსანდრეს ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სცენის თანამშრომელი.

37. **იხაევი** გიორგი ივანეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი.

38. **კალამკაროვი** ლევ გრიგოლის-ძე — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი.

39. **კაკაბაძე** ეთერ სილოვანის ასული — მხატვარი.

40. **კამკამიძე** მიხეილ აკაკის-ძე — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი.

41. **კაპანაძე** ლუიზა ვარლამის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

42. **კოლხიდაშვილი** იაკობ არჩილის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის ორკესტრის მსახიობი.

43. **კონიაევი** რუდოლფ გაბრიელის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის ორკესტრის დირიჟორი.

44. **კურჩიანი** სოფიო სიმონის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

45. **ლეხიუჩევსკი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ"-ის გამგეობის თავმჯდომარე.

46. **ლისოვეცკაია** ნადეჟდა მიხეილის ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

47. **ლონდარიძე** შალვა დავითის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

48. **ლუკონინი** მიხეილ კუზმას-ძე — პოეტი.

49. **მაკეევი** მაკედონი ივანეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

50. **მარკოზოვა** ემა იზრაილის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

51. **მარტიროსოვი** რუბენ მელიქის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის ორკესტრის მსახიობი.

52. **მაღალაშვილი** სოფიო გიორგის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

53. **მდივანი** რუბენ პეტრეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

54. **მეჟიროვი** ალექსანდრე პეტრეს-ძე — პოეტი.

55. **მეტრეველი** ილია ლევანის-ძე — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მუსიკოსი.

56. **მეძველია** შალვა სამსონის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი.

57. **მირიანაშვილი** ედიშერ გიორგის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი.

58. **მიქაძე** გიორგი ალექსის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

59. **მიხაილოვა** ვალენტინა გერასიმეს ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი.

60. **მიხელიძე** შალვა ივანეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

61. **მჭედლიშვილი** ალექსანდრე გიორგის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი.

62. **ნატროშვილი** ვაჟა ვასილის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი.

63. **ნეიმანი** მარკ სამუელის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

64. **ნიკიტინა** ევდოკია იაკობის ასული — სსრკ მწერალთა კავშირის ეროვნული კომისიის თანამშრომელი.

65. **ნინიძე** ვახტანგ ზაქარიას-ძე — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი.

66. **ორჯონიკიძე** ელისაბედ მალაქიას ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

67. **პაპავა** ეთერ ირაკლის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

68. **პატრიკიანი** სერგი ტიგრანის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მიმანსის მსახიობი.

69. **პეტროვი** რომან ვასილის-ძე — სსრკ მწერალთა კავშირის მხატვრული პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარე.

70. **პირაევი** პავლე ბაკუზის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

71. **პოგოდინა** ეკატერინე სერგის ასული—თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

72. **პოდგორსკაია** ირინე კონსტანტინეს ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

73. **პოლოსოვი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის კონცერტმეისტერი.

74. **რაზამატი** იური ალექსანდრეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

75. **საეკო** იური ათანასეს-ძე — სსრკ რადიოკომიტეტის ეროვნულ გადაცემათა განყოფილების პასუხისმგებელი რედაქტორი.

76. **სელეპანოვი** გიორგი იოსების-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

77. **სელიპანოვა** მარიამ კარპის ასული — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

78. **სირიკი** ვალენტინა გიორგის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

79. **სკოსირევი** პეტრე გიორგის-ძე — სსრკ მწერალთა კავშირის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე.

80. **სპერანსკაია** ნატალია იურის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობი.

81. **სურაევი** იური მიხეილის-ძე — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ორკესტრის მსახიობი.

82. **ტორაძე** გულბათ გრიგოლის-ძე — მუსიკისმცოდნე.

83. **ფურმანოვი** ვლადიმერ კლემენტის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

84. **ქართველიშვილი** გაიოზ რობერტის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის რეჟისორი.

85. **ქუთათელაძე** ბორის არქიპოს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

86. **ღვინერია** რევაზ დავითის-ძე — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი.

87. **ლოლობერიძე** ელენე დავითის ასული — მთარგმნელი.

88. **შანიძე** სერგი დომენტის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

89. **შოთაძე-ბელოუსოვა** თამარ ვასილის ასული — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

90. **ჩერემისოვი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

91. **ჩიჯავაძე** ოთარ ლონგინოზის-ძე — მუსიკისმცოდნე.

92. **ჩოჩიევა** ეკატერინე პავლეს ასული — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო განყოფილების ადმინისტრატორი.

93. **ჩხიკაძე** გიორგი დავითის-ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

94. **ძამაშვილი** შალვა ბაგრატის-ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი.

95. **ძიძავა** ჯუმბერ დავითის-ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

96. **წიქვაძე** ქართლოს ივანეს-ძე — საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი.

97. **ხუროშვილი** თამარ გაბრიელის ასული — მუსიკისმცოდნე.

98. **ხუციშვილი** ქეთევან შალვას ასული — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

99. **ჯანდიერი** გიორგი ელიზბარის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

100. **ჯომარჯიძე** ნადეჟდა არტემის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გუნდის მსახიობი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1958 წ. 18 აპრილი.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

## დ ღ ე ს
## თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გამომგონებლები (10 ს., აბ. № 34), შავი ბიჭი (7 ს., აბ. № 7).

მეუღლე ეკატერინე, შვილები სერგო, ვარვარა, მარგო, რძალი ქეთო; ლუიზა, ვანო, ყაჯარდუზოვები, ლ. ოგანეზოვი, სიძე გ. ოქროპირიძე ოჯახით იუწყებიან
**ივანე სიმონის-ძე ყაჯარდუზოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 6 ს. ქ. რუსთავი, ცენტრალური პროსპ. № 8.

დები მათიკო ციციშვილი, ალექსანდრა კონტრიძე, სიძე ალექსანდრე გაბესკირია, რძლები იულია, ანა; გიორგი, კონსტანტინე, ვახტანგ, ლიზა, სონია, იამზე, ჯიმშერ, თამილა, ნინო ციციშვილები, ანა ჩიქოვანი იუწყებიან
**ანასტასია კონსტანტინეს ასულ წერეთლის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. რენიგერის ქ. № 7.

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ვახტანგ, ციალა, სიძეები მ. ნებურიშვილი, ს. სხირტლაძე ოჯახებით იუწყებიან
**სერგო სიმონის-ძე გოგლიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. № 12, დაკრძალვა 27-IV ქ. ონში.

შვილები შალვა, ნიკოლოზ, რძლები სონია, თინა, სიძე ა. ჩიქვინიძე; ვარლამ, ეთერ, გივი, ქეთო, ლეილა, თენგიზ ჩიქვინიძეები, ვაჟა, ლილი, გურამ, გულნარა, სულიკო, ჯანსუღ ლვინჯილიები იუწყებიან
**კალინკა ლვანიძე-ლვინჯილიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV ს. დიმში (მაიაკოვსკის რ.).

მშობლები ელენე, სილიბისტრო, მეუღლე მერი ტრაპაიძე, შვილი თორნიკე, ძმა გივი ოჯახით, და ოლია, სიძე ნ. კაციტაძე; მარო, ლილი ტრაპაიძეები, თ. ფუტკარაძე იუწყებიან
**გაბრიელ სილიბისტროს-ძე ფუტკარაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, 6 ს. სოფ. ზედა საქარაში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე სონია, შვილები შალვა, თამარ, ნინო, რუსუდან რონიაშვილები, რძლები თამარ, მზია, სიძეები ი. კერესელიძე, გ. ბერიძე; გივი, ციცინო რონიაშვილები იუწყებიან
**ვასილ ისაკის-ძე რონიაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. ბაზალეთის შესახვ. № 2.

შვილები იული, გიორგი თელიები, რძლები ნათელა ჩიქვინიძე, დალი ბერულავა; სოლიკო, ზურაბ თელიები იუწყებიან
**მაკინე სერგოს ასულ თელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. კონსტიტუციის ქ. № 11.

ძმები ლავრენტი, აკაკი ჯანუაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**გიორგი ეფრემის-ძე ჯანუაშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24-IV, 6 ს. ივანიძის ქ. № 32.

მეუღლე მარო, შვილები თამარ, ოლია, დიდიმი, უშანგი ობოლაძეები, სიძე ალიოშა ქავთარაძე; რამაზი იუწყებიან
**ბიქტორ ზურაბის-ძე ობოლაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-IV, დაკრძალვა 27-IV, სოფ. ღვანკითში (თერჯოლის რ.).

დედა ანასტასია ედილაშვილი-ნანაძისა, მეუღლე გიორგი, შვილები დალი, მერაბ ცქიფურიშვილები იუწყებიან
**ელიზა ნესტორის ასულ ნანაძე-ცქიფურიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5½ ს. ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 48.

შვილები ნინო, ნათელა, მართა, რძალი თამარ, სიძეები ქ. კაკაურიძე, ი. თადიაშვილი, ს. ახნაზაროვი ოჯახებით იუწყებიან
**ნიკოლოზ ივანეს-ძე ტლაშაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. ავჭალის გზატკეცილი № 40.

მეუღლე ცურუ, შვილები მერი, ჯუმბერ, ძმა კონდრატი, დები დ., ს. და პ. ანთიები, სიძე ა. ჯიქია ოჯახებით იუწყებიან
**ალექსანდრე გახუს-ძე ანთიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV ზუგდიდში, გამოსვენება მახარაძის ქ. № 44.

შვილი ფაიზულა, რძალი ზ. კონტრიძე, და მ. შავიშვილი ოჯახით; ჯ. კუჭავა იუწყებიან
**ანეთ ოქროპირის ასულ ურუშაძე-კონტრიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 102.

მეუღლე დომნა, შვილები ელენე, ლუარსაბ, თალიკო, ციური, შაშე, რძალი ნინო, სიძე დავით, დები ოლღა, ეკატერინე, ბაბილინა, ძმა ანტონ ოჯახებით იუწყებიან
**სერგო ლუარსაბის-ძე ლოლობერიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, სოფ. ხომულში (წყალტუბოს რ.).

შვილები მიხეილ, ლავრენტი, ოლია, სიძე ვ. შვანგირაძე, ვიტალი, გიორგი, როლანდ, თამაზ, მთვარისა, ვენერა, თამარ ოჯახებით იუწყებიან
**ანეტა სოლომონის ასულ ჯავახაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, სოფ. ქვედა ქვიტირში (ქუთაისის რ.).

შვილები სერგო, ბუხუტი, ქენია ვაჭარაძეები, სიძე ე. გუნიავა, რძლები ეთერ, ანა შვილებით იუწყებიან
**ნინო სოლომონის ასულ გოგაძე-ვაჭარაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 4 ს. თოფურიძის ქ. № 7.

მშობლები მარიამ, ვლადიმერ, ძმა ზაური; ბარბარე, დავით, საყო მამათელაშვილები, ეკატერინე სანდრო ქიტუაშვილები ოჯახებით იუწყებიან პატარა
**თემურ ვლადიმერის-ძე მამათელაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. ფალიაშვილის ქ. №62-ა.

შვილი ალექსანდრე, და ნადია, რძლები მ. ერგნელი, ქ. ყიასაშვილი; ნ. ყიასაშვილი, ნ. კობაშვილი იუწყებიან
**მარიამ ალექსანდრეს ასულ ყიასაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფ. ზემო მაჩხაანში (წითელწყაროს რ.).

შვილები ჩ. მესხი, ოლია, ლიდა, ლიზა, ნადია, ნიკოლოზ, რძალი თამარ, სიძეები ი. ახალაძე, კ. ტაბატაძე ოჯახებით იუწყებიან
**ნატალია ლუკას ასულ მასხულიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV დაბა გეგეჭკორში.

მატრონე, ნიკოლოზ, ელიკო, მარო, ნინო გრიგალაშვილები, თემურ ხვედელიანი, აბესალომ ბეგაძე ოჯახებით იუწყებიან პატარა
**ზურიკო ჯიბლაძის**
გარდაცვალებას.

მეუღლე დომნა, შვილები თინა, ტონია, სიძეები გ. ახალბედაშვილი, გ. შვანგირაძე; ლალი, მარინე, მერაბ იუწყებიან
**ექვთიმე ივანეს-ძე დავითაიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24-IV, 5 ს. საჰილაოს ქ. № 14.

მეუღლე ნატალია, შვილები ლუბა, შოთა ჟვანიები, სიძე ა. კატელნიკოვი; ხათუნი, იური, გიზო კატელნიკოვები იუწყებიან
**ლევან ტარიელის-ძე ჟვანიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, სოფ. ონტოფოში (აბაშის რ.).

შვილები მადონა, მერი, სიძე ვ. ხელაშვილი, ძმები კონსტანტინე, რუბენ მგელაძეები ოჯახებით იუწყებიან
**ნარო ივანეს ასულ ჭყონიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, ქ. ბათუმში, გამოსვენება კლდიაშვილის ქ. № 14

მეუღლე სალომე, შვილები პროკოფი, ნინო, ლიდა, და მარო, რძალი ფ. გახოკია, სიძეები კ. მაისაია, ა. ნინუა, ხ. ვახანია ოჯახებით იუწყებიან
**პლატონ პეტრეს-ძე გავუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფ. მუხურჩაში (გეგეჭკორის რ.).

უე 02441 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.